საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ფინანსები / Finance**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ფინანსების ბაკალავრი / Bachelor of Finance**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	გიორგი აბუსელიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: george.abuselidze@bsu.edu.ge რამინ ცინარიძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: ramin.tsinaridze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	180 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ა. ერთიანი ეროვნული გამოცდები; ბ. მობილობის წესით ჩარიცხვა; გ. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ა. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი (შესატყვისი) კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, კვალიფიციური ფინანსისტის მომზადება, რომელსაც ეროვნულ და გლობალურ შრომის ბაზარზე შეეძლება დასაქმდეს სახელმწიფო, კერძო და/ან არასამთავრობო სექტორში; ბ. ფინანსების, ფულის (ვალუტის) და კრედიტის თეორიული, პრაქტიკული და ტექნოლოგიური ფუნდამენტური საკითხების ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებით მისცეს ფართო ცოდნა სამეწარმეო სუბიექტების, ინდივიდების, ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების საფინანსო საქმიანობისა და მომსახურების დაგეგმვის, ფინანსური რესურსების მობილიზების და მონიტორინგის შესახებ; გ. აღჭურვოს კურსდამთავრებული ყველა საჭირო უნარით რათა კომპეტენციის ფარგლებში შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს და
სწავლის შედეგები	1. განმარტავს ფინანსების, ფულის, კრედიტის თანამედროვე თეორიებს. საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო მომსახურებასა, დაგეგმვასა და ხელმძღვანელობაზე მოქმედ ფაქტორებს; 2. აღწერს ურთიერთკავშირს საფინანსო სისტემის სფეროებსა და რგოლებს შორის, ფინანსურ ინფრასტრუქტურას და ინსტიტუტებს, ფინანსური მენეჯმენტისა და საინვესტიციო საქმიანობის ინსტრუმენტებს; 3. მოიძიებს და აანალიზებს ფინანსურ, სტატისტიკურ მონაცემებს ინსტიტუტების, ორგანიზაციების და ინდივიდების ფინანსური საქმიანობის შესახებ, გამოთქვამს რაციონალურ ვარაუდებს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს. 4. იყენებს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს საფინანსო-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების აღსაწერად და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისათვის; 5. შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინდივიდების, ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ფინანსური ინფორმაციის თავმოყრა-დამუშავება, ანალიზი, ანგარიშგების მომზადება, წარდგენა და კონტროლი; 6. განმარტავს სადაზღვევო პროდუქტის საჭიროებას, მოსალოდნელი რისკების კლასიფიცირებას და არჩევს შესაბამის სადაზღვევო პირობებს, აწარმოებს სადაზღვევო პორტფელის აქტუარული შეფასებას;

პროგრამა განახლებულია 01.03.2025 წ.